დოკუმენტები

1924 წლის აჯანყების წინ

XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, ამასთან უმძიმეს მოვლენას, რომელიც 1924 წლის აჯანყების სახელითაა ცნობილი, წელს ასი წელიწადი უსრულდება.

მიზეზთა და მიზეზთა გამო, საქართველოს ისტორიის ეს გამორჩეულად ტრაგიკული მოვლენა, მისი წინამორბედი ვითარება, ისევე როგორც ქართული ემიგრაციის მიერ ამ მოვლენის შეფასებების ამსახველი დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არაა გამოცემული და, შესაბამისად შესწავლილი. ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანია იძულებით დევნილობაში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების, ზოგადად ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ე. წ. „პირველი ნაკადის“ ისტორიასთან დაკავშირებული დოკუმენტების მოძიება და გამოცემა.

ამჯერად, 1924 წლის აჯანყების ას წლისთავთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიასადმი გერმანიაში დამოუკიდებელი საქართველოს ელჩის, ლადო ახმეტელის მიერ გაგზავნილ ორ წერილს, სადაც მოყვანილი ფაქტები ერთგვარი წინამორბედია საბჭოთა საქართველოში 1924 წლის აჯანყებისა, - უფრო ზუსტად, ამსახველია დროის იმ მონაკვეთისა, როდესაც საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების დამხობის და ჩვენში ქვეყნის მმართველობის დემოკრატიულ საფუძვლებზე დაფუძნებულ ხელისუფლების აღდგენის გზების ძიების ტაქტიკის საკითხი თეორიული საუბრებიდან ნაბიჯ - ნაბიჯ პრაქტიკულ განხორციელების გზების ძიებაში გადადიოდა: ეს 1922-1923 წლებია. ლადო ახმეტელის მეორე წერილის დასაწყისში ნახსენებ ნოე ჟორდანიას მისდამი საპასუხო წერილს, ჯერჯერობით ვერ მივაგენით.

ქვემოდ მოყვანილი ორი წერილი (ისევე როგორც მსგავსი შინაარსის სხვა, ქართულ არქივებში დაცული არაერთი ისტორიული საბუთი) დღემდე დაფარული იყო მკითხველთა ფართე წრისთვის - მას მხოლოდ ერთეულები თუ იცნობდენ. ამ (და მსგავს) დოკუმენტების გაუსაჯაროვლობა ადვილად გასაგებია - არც საბჭოთა ხელისუფლება და არც დევნილობაში მყოფი საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის წრეები არ თვლიდნენ საჭიროდ მსგავსი ხასიათის ურთიერთობების გასაჯაროებას (რაც, დღევანდლამდე შემორჩენილ ქართულ საარქივო დოკუმენტებში გაბნეული სახითაა და მხოლოდ ყველა დოკუმენტის ყურადღებით კითხვის შედეგად იკვეთება); ჩვენი ემიგრაციის პირველი თაობის წევრთა გარდაცვალების შემდეგ, XX საუკუნის 60-70 იან წლებისთვის, საიმედოდ დაცულ ამ დოკუმენტების შინაარსი, როგორც ასეთ ვითარებაში ხდება ხოლმე, მივიწყებას მიეცა: ქართულ პოლიტიკური ემიგრაციის არქივის ჰარვარდის უნივერსიტეტში გადაცემის და საიმედოდ აღწერის შემდეგ, ჰარვარდის „მხარემ“ სრულიად ერთაზროვანი თხოვნით მიმართა ქართული ემიგრაციის წევრებს - კონკრეტულად მიეთითებინა მათთვის ის დოკუმენტები (ანდა დოკუმენტთა ის ჯგუფი), რომელთა შინაარსის გასაჯაროვება შეიძლებოდა შეზღუდვის გარეშე და რომელი დოკუმენტების (და რა ვადით) „დაფარვა“ სურდა ქართულ მხარეს: რაზედაც ჰარვარდის „მხარემ“ ქართული ემიგრაციის იმდროინდელ მესვეურთაგან, - რამდენადაც ვიცი, - გარკვეული პასუხი ვერ მიიღო. ამის მიზეზი, უპირველესად, ამ თაობის ქართული ემიგრაციის მიერ ამ დოკუმენტების შინაარსის უკვე არცოდნა უნდა ყოფილიყო.

ვფიქრობ, დადგა დრო, ეს (და მსგავსი შინაარსის) ცნობები გამოიცეს და, ამით ხელმისაწვდომი გახდეს როგორც დარგის მკვლევართა, ისე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართე წრისათვის.

ამ (და მსგავს შინაარსის) დოკუმენტების გასაჯაროება, მინდა მჯეროდეს, საფუძველს დაუდებს XX საუკუნის საქართველოს რთული, ხშირად არა ერთაზროვანი, ზოგჯერ გამაოგნებელ, ზოგჯერ ენით ძნელად აღსაწერ მოვლენების ამსახველ საბუთების შინაარსის შესახებ დადინჯებულ, აკადემიური ხასიათის მსჯელობას.

ამ გამოცემის მიზანიც სწორედ ესაა.

ირაკლი იაკობაშვილი

5/VII – 24. ნ.ჟ.[1]

Gesandtschaft
der Republik Georgien.
Berlin NW 23, den 30 ივნისი, 1924
Brucken-Alee 31
Telefon: Moabit 433.

ღრმად პატივცემულო ნოე ნიკოლოზის ძე,

სულ რამდენიმე დღის წინეთ შეხვედრა მომიხდა ერთ ქართველ ბოლშევიკთან, ალიოშა სვანიძესთან. ჩვენი ერთად შეხვედრას შემთხვევითი ხასიათი არ ჰქონია. მე კარგახანია გაგებული მქონდა, რომ მოსკოვის დავალებით ალ. სვანიძე გერმანიაში იგზავნება შავი ზღვის მრეწველობის წარმომადგენლათ, უმთავრესად კი ფერო მარგანეცის წარმოების საქართველოში (ჭიათურაში) მოსაწყობად. ალ. სვანიძე სტალინის ცოლის ძმა და მასთან კარგად დაახლოებული პირია. ვიცოდი აგრეთვე, რომ სვანიძე მოსკოვში აქეთ წამოსვლისას სტალინს ინახულებდა და აქ ჩემთან მოისურვებდა ლაპარაკს. მეც გადავწყვიტე - მიუხედავათ იმისა, რომ ფსიხოლოგიურად ძალიან მეზიზღება ბოლშევიკთან შეხვედრა - თუ იგი მოისურვებდა ჩემთან ლაპარაკს შევხვედრილიყავ და მელაპარაკნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალ. სვანიძე „უკლონისტთა“ ჯგუფს ეკ-

[1] ნოე ჟორდანიას ხელით. გამომც.

უთვნის და თავის ფიზიონომიას ატარებს. კარგათ ვიცნობ მას, მეგობრული და ოჯახური მისვლა - მოსვლა მქონდა ძველად. ასეთ კაცთან შეხვედრა მაშასადამე (?) მხოლოდ და მხოლოდ სწორი და ობიექტური ინფორმაციის მიღებისთვის - საჭიროდ დავინახე. ვამბობ - მხოლოდ ინფორმაციის მიღება და სხვა არაფერი. პირად[ად] მე იმ შეხედულებისა ვარ რომ ჩვენსა და რუსეთის ბოლშევიკებს შორის დღესდღეობით ისეთი უთანასწორო ძალთა განწყობილებაა, ბოლშევიკები თავისი შინაარსით ისეთი დიქტატორები არიან, რომ მათთან რაიმე პოზიტიური მოლაპარაკება შეუძლებელია და მიზან შეუსაბამოა. ძალა უხეში და ბრიყვი, მხოლოდ უხეში ძალის წინაშე მოიხრის თავს; საკაცობრიო მიზანი, სამართლიანობა მათთვის უქმი სიტყვებია. ცოტა ინფორმაციას კი - დარწმუნებული ვიყავი, მომაწვდიდა. ამაში ჩემდა საბედნიეროდ არ შევმცდარვარ.

გერმანიაში მოსვლისთანავე, მიუხედავად იმისა, რომ გაეფრთხილებიათ - შენ ახმეტელი არ დაგელაპარაკებაო - ტელეფონით დამიძახა - სადმე ნეიტრალურ ადგილზე - შევხვედრილიყავით. ტელეფონითვე მითხრა: დავალება მაქვს სტალინიდან მოგელაპარაკოთ და სხვა. მე უბრალოთ ვუთხარი: მტერთან მოლაპარაკება ერთობ მეზარება, განსაკუთრებით ისეთ მტერთან, რომელმაც უდიდესი დანაშაული ჩაიდინა ჩვენი ერის წინაშე თქვა. სვანიძემ სიცილით მითხრა: მე მონაწილე არა ვარ ასეთი დანაშაულებაში (!) და შეიძლება შენზე ნაკლები არ მეზიზღებოდეს. მოკლე საუბრის შემდეგ შევთანხმდით სადმე ყავახანაში შევკრებილიყავით. შეპირება სისრულეში მოვიყვანეთ და ნაშუადღევს 5 საათზე ერთ პატარა ყავახანაში შევხვდით.

ჩემი პირველი განცხადება იყო: მე თქვენ გელაპარაკებით მხოლოდ იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ სწორსა და ობიექტურ ცნობას მივიღებ ჩვენი ხალხის სულიერ მდგომარეობის შესახებ. აგრეთვე თქვენი სისხლიანი რეჟიმის „დადებითი“ ნაყოფის გამო. შენთან არ მოვსულვარ პრინციპების შესახებ საკამათოდ, რუსეთის

კომუნიზმი სოციალისტურად მოაზროვნისათვის უკვე აშკარა გაშიშვლებული აზიური ზოოლოგიური დესპოტია. განსაკუთრებით იმაშია დარწმუნებული ქართველი ხალხი და თქვენთან არავითარ კამათში არ შევა, არც პოზიტიურ მოლაპარაკებას დავიწყებთ.

ასეთი ჩემი წინადადება უდავოთ გაიზიარა.

ამის შემდეგ ვკითხე, თუ თქვენც ისეთი ოდიოზური პიროვნება ხართ, როგორიც არიან ფ. მახარაძე, ბ. მდივანი და სხვები, თუ ჩვენი ერის თავდასხმის საქმეში ისეთსავე აქტიურ მონაწილეობას იღებდით, როგორც ზევით დასახელებული პიროვნებები, ასეთ შემთხვევაშიაც გამიძნელდება თქვენთან საუბარი და შენიდან რაიმე ცნობის, თუნდაც სწორის - მიღება. მან განაცხადა: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ჩემთვის დიდი აქტი იყო, მისი სუვერენული ორიენტაციისა ვიყავი. ხოლო მას შემდეგ, რაც უკვე გამოირკვა, რომ რუსის ბოლშევიკები ჩვენი ქვეყნის დაბყრობას პრაქტიკულად შეუდგებოდენ, რაშიაც მე ეჭვი აღარ მქონდა - მაშინ გადავწყვიტე მოსკოვში წავსულიყავ, იქ მემუშავნა და ჩვენი ქვეყნის ბედის საქმეში დროს შესაფერი ზომები მიმეღო. საქართველოს დაბყრობამდის - ექვსი თვით ადრე - წაველი მოსკოვში. იქ მე დიდი შეხლა მიხდებოდა ჯუღაშვილთან; იგი თითქოს - გარეგნულად „ველიკო“ რუსების პატრიოტებთან ერთად მომხრე იყო საქართველოს დაბყრობის. საგულისხმოა, რომ ლენინი თავში არ იზიარებდა ასეთ შეხედულებას თურმე. სისტემატური მუშაობის შემდეგ ლენინიც დააჯერეს საქართველოს ძალით დაბყრობის აუცილებლობაში და შემდეგ ეს ძლიერ სამწუხარო საქმე სისრულეში მოიყვანესო. ამის შემდეგ მე გამოვეშურე საქართველოში, საბჭოთა მთავრობაში შეველი და ამ გზით მინდოდა იმის გადარჩენა, რის გადარჩენაც შეიძლებოდა. პირველი საბჭოთა მთავრობა დადებითად ცდილობდა გაეკეთებია ის, - ეროვნული თვალსაზრისით, რასაც აკეთებდა ნ. ჟორდანიას მთავრობაო; დამოუკიდებლობის სახე შეგვენარჩუნებია ჩვენი ქვეყნისათვის. მაგრამ ოკუპანტებმა თა-

ვისი სახე მალე გამოააშკარავეს და ველიკო რუსული პოლიტიკის წარმოებას დიდ ანგარიშს უწევენ. ახლა ორი კატასტროფიულად დაღუპვის თავიდან აცდენას მეორე ინტერნაციონალთან შეთანხმებაში ხედავენ, უნდა შეუერთონ თქვენს ინტერნაციონალს მრავალი დათმობით.

როცა მე უთხარი რომ მეორე, ე.ი. ჩვენი ინტერნაციონალი მოსკოვის ინტერნაციონალთან შეთანხმების ენას ვერ გამოძებნის, მაგას უკიდურ რეაქციონურ ძალათ აღვიარებენ - მაგან სთქვა: - ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ტახტზე წამოჯდომა აუცილებელია. ყოველ შემთხვევაში მეორე ინტერნაციონალის დახმარებით - ინგლისის - მაკდონალდის მეოხებით ბევრი რისამე გაკეთება შეგიძლიანთ, ბევრ რასმე დასთმობენ მოსკოვის ბატონებიო. ახლა სტალინია ბატონი და უცხო ტომის ხალხიო, მათ არც ისე გული შესტკივათ ველიკორუსული ნაციონალიზმისათვისო. თქვენი გზა სწორია, იმუშავეთ მეორე ინტერნაციონალში, მაკდონალთან (!) - მათ დიდ ანგარიშს უწვენენ მოსკოვის მესაჭეებიო. მანამდის კი ~~ეცადეთ ზედმეტი~~ ერიდეთ ~~ზედ~~ უმიზნო მსხვერპლის გაღებას. მეც ვფიქრობ - თქვენი გზა სწორია და გამარჯვებაც ადრე თუ გვიან თქვენიაო.

შემდეგ მითხრა - კიდევ შევხვდეთ, სტალინმა კიდევ რაღაცეები დამავალა შენთან მომელაპარაკნა. მეორეთ ჯერ არ შევხვედრივართ.

ეს სიტყვა ჩამომართვა ეს ნალაპარაკევი ჩვენ შორის დარჩენილიყო. მაგრამ ეტყობა სისუსტე გამოიჩინა და დაუფიქრებლობით დ. ღამბაშიძისთვის ეთქვა ჩემთან შეხვედრა. როგორც იცით ღამბაშიძეს ამბავი - ამან მთელ ბერლინს მოსდო. ჩვენი ზოგიერთი ამხანაგებით ჩვენ შეხვედრას არ იწონებდენ ტაქტიკური მოსაზრებით, - სტუდენტებს საბაბს მისცემს ბოლშევიკებთან წავიდენო. მე ამას ანგარიშს არ ვუწევ, მტრიდან ობიექტური ცნობის მიღება სასარგებლოდ მიმაჩნია და მოვიმოქმედე კიდეც. მსჯავრის დამ-

დები თქვენ ხართ როგორც პარტიის თავმჯდომარე, როგორც ერისა და პარტიის ბელადი.

პირადათ მე ძალიან მეზარება ბოლშევიკების ნახვა - გველთან თამაში არავის ესიამოვნება, მაგრა სარგებლიანობის თვალსაზრისით მივუდექი.

მიიღეთ უღრმესი სალამი.

თქვენი ვლ. ახმეტელი.

მოიკითხეთ თქვენი მეუღლე, აკოცეთ ბავშვებს. ლ[..]ო.

17/VII [1924][2]

Gesandtschaft

der Republik Georgien.

Berlin NW 23, den 13 ივლისი, 1924

Brucken-Alee 31

Telefon: Moabit 433.

დიდათ პატივცემულო ნოე.

თქვენი წერილი 5 ივლისის თარიღით მივიღე. სვანიძე - თქვენი წერილის მიღებამდე მეორეთ ვინახულე. ის შიში, რომელიც თქვენ გამოსთქვით მოსალოდნელი არ არის. ჯერ ერთი რომ ალ. სვანიძე ისეთ ტიპის ბოლშევიკებს არ ეკუთვნის, რომ ყველაფერი სააგიტაციოთ და საპროპაგანდოთ გამოიყენოს; მეორე იგი ბერლინში მხოლოდ სამი - ოთხი დღით გაჩერდა და შემდეგ წავიდა ჰაგაში - „ჩემო“ საქმეების მოსაწყობათ. იქ დაყოფს სულ ორი თვე და მერე გაემგზავრება საქართველოში. მან აქ ინახულა სულ რამდენიმე ქართველი - სწორეთ რომ ვსთქვათ იგი ინახულეს, ესაა სტუდენტები.

რაც შეეხება ჩემი მეორე ნახვის სამუშაო საგანს - ეს იყო სტალინის აზრი ჩვენთვის საკითხის შესახებ და რა კონკრეტული დავა-

[2] ნოე ჟორდანიას ხელით. გამომც.

ლება აქვს მას ჯუგაშვილიდან (!). როგორც გამოირკვა სტალინს მისთვის კონკრეტიულად არაფერი დაუვალებია. უთქვამს, - ანუ განუმარტები[ა] ზოგიერთი თავის შეხედულება საქართველოს შესახებ, რომელიც შეეძლო ჩემთვის გადმოეცა. კონკრეტიობა - თუ ამ სიტყვას თავის მნიშვნელობით ვიხმართ შემდეგში გამოიხატება: რუსები საქართველოს ისე პატარა ძალათ უყურებენ, რომ მის წარმომადგენლებს ისინი პირდაპირ ლაპარაკს ვერ დაუწყებენ, ეს მათი პრესტიჟისა და ავტორიტეტის დამცირება იქნება; მას მოყვება მრავალი შინაური გართულება და სხვა.. თუ ასეთ მოლაპარაკება დაიწყება მეორე ინტერნაციონალის (ჩვენ ინტერნაციონალს - მეორე ინტერნაციონალს ეძახიან) ინიციატივით, ან მაკდონალდის თაოსნობით მოხდება, მაშინ ბოლშევიკებს მხრივ მრავალი დათმობა იქნება. სტალინი და ზინოვიევი, მაინცა და მაინც დიდათ თავს არ შეიწუხებენ ველიკორუსების პოლიტიკის განმტკიცებისათვის. ასეთი დასკვნა გამოუტანია სვანიძეს სტალინთან ლაპარაკის დროს კერძო საუბრისას. თურმე ხშირათ იტყვის სტალინი: „*რას ვემართლებით საქართველოს, რაზე ვაჭმევთ რუსეთსო.*“ ერთი სიტყვით სვანიძის ნალაპარაკევიდან აშკარათ გარკვეულათ სჩანს, რომ მეორე ინტერნაციონალი ან ევროპის რომელიმე დემოკრატიული სახელმწიფოს წარმომადგენლები მტკიცედ თუ მოსთხოვენ საქართველოს შესახებ - [ბოლშევიკები] ბევრს დასთმობენ. აქ გულისხმობენ ინგლისის მთავრობას, რასაკვირველია. მდგომარეობა მეტად გართულებიათ, რათაც უნდათ დაუჯდეთ - აუცილებლათ სესხი უნდა იშოვონ ინგლისელებიდან. ფული კი - როგორც იქ ულაპარაკიათ კვლავ რამდენიმე წლით გაახანგრძლივებს მათ არსებობას.

რასაკვირველია, ასე პრიმიტიულად არ წარმომიდგენია ბოლშევიკების ბატონობის გახანგრძლივება ფულით თუ ევროპის ფინანსების მეოხებით - როგორც ამას სვანიძე ფორმულიროვკას უშვრება. მაგრა ერთი კი დასაჯერებელია: ბოლშევიკური რუსეთის ახლანდელი მესვეურნი ისე მტკიცედ არ დგანან ჩვენი საკითხის

და[..]ბის[3] საქმეში, როგორ ეს იყო რამდენიმე წლის წინათ, ან როგორც ეს გონიათ ევროპის ჩვენ ამხანაგებს. ეს არის - სვანიძის მიერ გამოტანილი დასკვნა და ირწმუნება, რომ ამას ფიქრობს სტალინ - ჯუღაშვილი საქართველოს შესახებო. ყოველ შემთხვევაში - თუ მართალია - საგულისხმოა.

თქვენი „ბოლშევიზმი|, როგორც თავიდანვე გწერდით, - ანგარიშებიც წარმოვადგინეთ, ნარდათ მივეცით გამომცემელს, მოგვცა 50.000 მარკა და მთელი წიგნი გადვიდა მის განკარგულებაში. რამდენათაც ვიცი წიგნები იყიდება. ამას წინათ ერთმა რუსის პროფესორმა ძალიან აქო თქვენი წიგნი. თუ საჭიროა მთელს ანგარიშებს და პირობებს დაწვრილებით მოგწერთ, ახლა ყველა ცნობები თავში არ მაქვს.

იგივე წიგნი „ბოლშევიზმი“ შტეინმა უკვე გადათარგმნა და იპოვა კიდეც ქ. იენაში გამომცემელი. დასწერს წინა სიტყვაობას და გადაუგზავნის გამომცემელს. შტეინი ახლა ორი კვირით ავიდა დასასვენებლად, იქიდან რომ მობრუნდება ამ საქმეს შეუდგება. არავითარ ჰონორარს არ იძლევა გამომცემელი, ხომ იცით ეხლა რა კრიზისია გერმანიაში, განსაკუთრებით წიგნების გამომცემლობაში. სასიამოვნოა რომ იშოვა გამომცემელი.

მოკითხვა თქვენს მეუღლეს.

უღრმესი პატივისცემით.

ვლ. ახმეტელი.

---

3